სახალხო გაზეთი

№ 527 პარასკევი, 17 თებერვალი 1912 წ. № 527

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 7-დან 1-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible]. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

!სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს ბრდემლს,

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახ. სახლი.

პარასკევს, 17 თებერვალს, 1912 წ.

ბენეფისი რეჟისორის ალ. წუწუნავასი

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ქ-ნნი **ე. ჩერქეზიშვილის, ნ. დავითაშვილის,** ბ-ნნი **ალექსი-მესხიშვილის** და ქუთათურ მსახიობის **ვას. არაბიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ახალი **ორიგინალური პიესა.**

მორევში

დრამა 3 მოქ. ს. ჭანტურიშვილისა. ამ პიესისთვის დახატულია ახალი დეკორაციები.

2. ცნობილი პიესა კ. ფოცხვერაშვილისა

აშენდა საქართველო

სცენები ქართ. სტ. ცხოვრებიდან 2 მოქ. ამ პიესის დადგმის უფლება ავტორისაგან აქვს მხოლოდ ალ. წუწუნავას.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი მ. გოგოლაშვილი, ნ. დავითაშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ვას. არაბიძე, ბაქრაძე, გოცირიძე, მეტრეველი, ნინიძე, სანდალა, სვახელი, სალუქაია, ხონელი, ფრონის-პირელი, ყაზბეგი, მ. ჭიაურელი, ჭანკვეტაძე, ჩიქოვანი და სხვა. ადგილების ფასი 1 მ. 20 კაპ.—15 კაპეიკამდე **დასაწყისი სად. 8 საათზე.**

ადმინისტრატორი **ან. ქიაბერაშვილი.** (5—1006—4) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ქართული თეატრი

შაბათს, 18 თებერვალს,

საზღვარ-გარედ გამგზავრების წინ მხატვარი კოტე ქავთარაძე

ჰმართავს

გამოსათხოვარ საღამოს

შემდეგის პროგრამით:

I) ტფილისში პირველად დაიდგმება რუსულად 3 მოქმედებიანი ოპერეტკა **მ. გ. იარონისა** და **ვ. კ. ტრავსკისა,** მუსიკა **პერპინოლისა:**

ტურფა ასული მსუბუქი და მხიბლავი მუსიკა წარმტაცის შინაარსით.

მონაწილეობენ ქ-ნნი: პრესინსკისა და ტომილინისა, ბ-ნნი: ვალერიანოვი, დავიდოვი, ევგენიევ-მანინი.

რეჟისორი **ვ. ევგენიევ-მანინი,** დირიჟორი **ს. ი. პრესმანი.**

II) პირველად ტფილისში:

,,ღამე ქორწილის შემდეგ,'' ოპერეტკა ერთ-მოქმედ. კრილოვისა, მუსიკა თ-დ ბეგთაბეგოვისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: პრესინსკისა, ბ-ნნი: ვალერიანოვი და დავიდოვი.

რეჟისორი **ვ. ს. ვალერიანოვი,** დირიჟორი **თ-დი ვ. ლ. ბეგთაბეგოვი.**

დასაწყ. სწორედ სად. 8 ს. ბილეთ. ფასი ჩვეულებრივია, ბილეთ. იყიდ. თეატრ. კასაში.

(3—1109—2) გამგე **მხატვარი კ. ქავთარაძე.**

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

ბრდემლი

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.8)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ. ღ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. ღ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$.
კანის ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 10 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; **,,606'' წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—270/

პ. ს.

დოროფეევის

მაღაზიებში

ა) **უმთავრესი,** სოლოლაკის ქ., სახლი გურგენოვისა, **ტელეფ. № 583.**

ბ) **იაროსლავისა,** მიხეილის ქუჩ., ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ,

ტელეფონი № 838.

მხოლოდ 2 დღეს

უდიდესი იაფი

ვაჭრობა

პარასკევსა და შაბათს

ე. ი. 17 და 18 თებერვალს.

(1—1110—1)

ქართულ თეატრში

ორშაბათს, 20 თებერვალს,

გამგე-კომიტეტი **ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლისა** ჰმართავს

ლიტერატურულ-მუსიკალურ-დრამატიულ-საღამოს

კნეინა ელისაბედ ირაკლის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით. დაწვრილებით აფიშებში. **დასაწყ. სად. $8^1/_2$ ს.** (3 1)

ზუბალაშვილის სახალხო სახლი

შაბათს 18 თებერვალს 1912 წ.

გ. ქუჩიშვილი ჰმართავს

სალიტერატურო დილას

1 **მიხეილ წულუკიძე** წაიკითხავს ლექციას **ილ. ჭავჭავაძის ,,განდეგილ''-ზე**

2 **ილია ნაკაშიძე** წაიკითხავს ლექციას **ქალთა კითხვა.**

სალიტერატურო განყოფილებაში წაიკითხავენ თავის ნაწარმოებს ახოსპირელი, აბაშელი, დარია ახვლედიანი, დ. ნ. ნახუცრიშვილი, კ. მაყაშვილი, კონსტან-ანდრონი, რ. ბებიაშვილი, ნ. აზიანი, ი. ელეფთერიძე, გრ. დიასამიძე, ს. ფაშალიშვილი, პ. ირეთელი, ნ, ნაკაშიძე, ოლ. ლეჟავა, ნარკანი, კ, ჯაფარიძე, ტრ. რამიშვილი, ნ. ჩხიკვაძე დ. აბდუშელი, გ. ქუჩიშვილი.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე. (2—246—1)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 23<)

დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა

წინამძღოლი

სთხოვს დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ

26 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ქ. დუშეთში

თ.-აზნაურთა ჩვეულებრივ სამაზრო კრებაზე

დასასწრებლად **სამხედრო საკრებულოს დარბაზში.**

ის თავად-აზნაურნი, რომელთაც საარჩევნო და თავად-აზნაურთა საქმეში მონაწილეობის ცენზი აქვთ, კეთილ ინებებენ და წარმოადგენენ ამის დამადასტურებელ საბუთებს. (2—1111—1)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს—წ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.23)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10. ტელეფ. 792.** (თ. 100—1534—91)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. **входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.**

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.89)

ექიმი კბილისა **ნინო რუხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 $^1/_2$.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606 -

(წლ. 1090 273)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 76).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 106)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—98).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—$5^1/_2$ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—27)

ექიმი დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე**

ტყემალაძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—4)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—45).

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.46).

ტფილისი, 17 თებერვალი

უკანასკნელი დღეები. სახელმწიფო სათათბიროს დღეები დათვლილია. მალე დეპუტატები თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე წარსდგებიან. რა გააკეთეს იმ დეპუტატებმა, რა გააკეთა საზოგადოდ ამ სახელმწიფო სათათბირომ? თავის დროზე ჩვენს გაზეთში აღინიშნებოდა ხოლმე სათათბიროს ყოველი, ცოტად თუ ბევრად ღირს შესანიშნავი ნაბიჯი. ეხლა რომ თვალი გადავავლოთ სათათბიროს მოქმედებას, ორი დამახასიათებელი თვისება გადაიშლება თვალ-წინ: **ნაციონალისტური ტენდენცია და**

დავიწყება 17 ოქტომბრის მანიფესტისა. სათათბიროს ხელ-მძღვანელი პარტია კარგად შეეცადა, რომ რაც შეიძლება დაბლა დაეცა სათათბიროს პრესტიჟი, დაეკარგა მისთვის დამოუკიდებელ მოქმედების ნასახიც კი. ამიტომაც მოხდა, რომ სახელმწიფო საბჭოც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სათათბიროს და ყველა ცოტად თუ ბევრად ლიბერალურ რეფორმების განხორციელებას აფერხებდა. ემუქრებოდა სათათბირო საბჭოს, ერთხელაც იქნება გაგისწორდებითო, მაგრამ ანგარიშის გასწორება დღემდისაც ვერ მოახერხეს. ეს ადვილი მოსალოდნელიც იყო. სათათბიროს ხელმძღვანელმა პარტიამ არავითარი ზომები არ მიღო, პირისპირ დასდგომოდა საბჭოს ინერტიულ მოღვაწეობას და თავისი მოქმედებით დაემტკიცებინა, რომ საჭიროდ მიაჩნია 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება იგი აჰყვა სტოლიპინის ნაციონალისტურ პოლიტიკას, გააძლიერა და ეხლა, როდესაც სათათბიროს უკანასკნელი დღეები დაითვალა, კისერი მოიფხანა.

ზემოდ აღნიშნული ორი თვისება სახელმწიფო სათათბიროს მოქმედებისა, რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესად უკარნახებს ამომრჩევლებს მოქმედების გზას. მთელი გულისყური იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ სათათბიროს გამეფებულ ნაციონალისტურსა და ანტილიბერალურ ტენდენციებს დაუპირდაპირდეს რეფორმების მომხრე და და ნაციონალიზმს მოკლებული მოქმედება. თუ ასეთი უნდა იყოს საზოგადო მიმართულება რუსეთის საარჩევნო კამპანიისა, მით უფრო ასეთი უნდა იყოს იგი ჩვენში.

რუსეთში ნაციონალიზმი ძლიერდება, იგი თან და თან მებრძოლ ხასიათს იღებს. რუსეთის ოპოზიციის წინ მალ-მალ აღიმართება ხოლმე ათასნაირი დაბრკოლება, რომელთა გადალახვასაც მრავალი ძალა და ენერგია სჭირდება. ამიტომ ჩვენშიაც უნდა განმტკიცდეს ისეთი აზრი, რომ სათათბიროში საჭიროა ისეთი დეპუტატები, რომელნიც ერთის მხრით ოპოზიციას გაუმაგრებენ ზურგს, გვერდში ამოუდგებიან რუსეთის მოწინავე საზოგადოებას და მეორის მხრით კი თავის მოვალეობად დაისახავენ ადგილობრივ, ეროვნულ ინტერესების დაცვას.

ასეთი წარმომადგენლები საქართველოს სახელმწიფო სათათბიროში ჯერ არა ჰყოლია. მრავალი უსაჭიროესი მოთხოვნილებანი ქართველ ერისა გაუშუქებელი რჩებოდა სათათბიროში, რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებაში, სადაც მრავალ საყურადღებო საკითხის აღძვრა შეიძლებოდა.

საქართველოს ეროვნულ ინტერესებს სათათბიროში დამცველი არა ჰყოლია იმ დროს, როდესაც. სათათბიროს უმრავლესობა ნაციონალიზმით იყო გაჟღენთილი.

სათათბიროსაგან ბევრს არაფერს მოველით. მაგრამ იგი მაინც რუსეთის პოლიტიკურ აზროვნების სარბიელია, და მასში უნდა იყვეს ქართველთა ისეთი წარმომადგენელიც, რომელიც სათანადოთ შეხედავს საკითხს და ადგილობრივ საკითხსაც პოლიტიკურის ელფერით გააშუქებს.

ამას გვავალებს მომენტი, და ამისთვისაც უნდა ემზადებოდეს ქართველი ამომრჩეველი.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშები)

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

წაიკითხეს განსახილველ საგანთა სია. სხვათა შორის დაასახელეს სათათბიროს 40 წევრის მოსაზრება ქალთა საარჩევნო უფლების თაობაზე, გადასწყვიტეს სხდომა პარასკევის მაგივრად ხუთშაბათს გამართონ. უკამათოდ მიიღეს დონის ოლქში ერობის შემოღების კანონპროექტი.

განაგრძობენ ხოლმშჩინის გამოყოფელ პროექტის მეათე განყოფილების თაობაზე მსჯელობას. იგი შეეხება ხოლმშჩინის გამოყოფას და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებას.

გარუსევიჩი. ვისაც ხოლმშჩინის გამოყოფის საქმეს მიანდობენ, იძულებულნი იქნებიან პოლონელთა სარწმუნოება შეავიწროონ. ამ სახით კიდევ იწყება „სარწმუნოებათა ტერორი.

პახალჩიკი. მომხრეა ხოლმსის გამოყოფისა.

ბელიაევი. ხოლმშჩინის გამოყოფის შემდეგ რუსის ხალხი განთავისუფლდება და ვოლინის რუსობას შეუერთდება. საკვირველია, პოლონელები თავის დღეში ვარშავის გუბერნატორების მადლიერნი არა ყოფილან და ეხლა კი მოითხოვენ, ხოლმშჩინა ვარშავის საგენერალ-გუბერნატოროში დასტოვეთო.

ფრიდმანი. ხოლმშჩინის გამოყოფა მხოლოდ ებრაელებს დაამონავებს და უფლებას შეუკვეცს.

სკოროპადსკი მომხრეა გამოყოფისა. იგი უკრაინის ხალხის ინტერესებს იცავს.

ლვოვი ამბობს, პროექტის შემდგენელნი იმათაც ატყუებენ, ვისაც მიზნად „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და ხალხოსნობა" დაუსახავთ, და იმათაც, ვინც მომხრეა 17 ოქტომბრის მანიფესტისა. 17 ოქტომბრის მანიფესტი ძველის გზის დატოვებას მოითხოვს და უარჰყოფს ერთა ჩაგვრას, პროექტი კი ერთაშორის შურსა და მტრობას სთესს.

ლერხე. გამოყოფის წინააღმდეგი ვარ, რადგანაც იგი შეურაცხყოფაა პოლონელებისაო.

ეპისკოპოსი ევლოღი დიმშას უპასუხებს. ხოლმსის გაზეთებს თავის დღეში პოლონელების წმინდათაწმინდის შეურაცხყოფა არ უფიქრიათ და ჩენსტოხოვის ღვთისმშობლის ხატის განადგურება არ მოუთხოვნიათ, ამ ხატს ერთნაირად თაყვანსა სცემენ მართლმადიდებელნიცა და კათოლიკენიც. ეს ხატი—რუსებისაა, მართლმადიდებლებისა, კათოლიკებისაგან წართმეული. ხატის საწინააღმდეგოდ კი არა სწერდნენ, ჩენსტოხოვის მონასტერსა ჰგმობდნენ, რადგან იქაურ წესებს მაცოხის საქმეც კარგად ჰმოწმობს.

მომხსენებელი ჩიხაჩევი იცავს კომისიის რედაქციას. სათათბირომ 151 ხმით 105 წინააღმდეგ მიიღო **ფონ-ანრეპისა და ტიმოშკინის** შესწორება, უარმყოფელი ხოლმსის პოლონეთიდან გამოყოფისა და შემდეგ 138 ხმით 126 წინააღმდეგ მეათე განყოფილება სრულიად უარჰყვეს. ტალანში გასვლის დროს ხმები დასთვალეს და მაშინაც მეათე განყოფილება უარჰყვეს 139 ხმით 135 წინააღმდეგ (შვიდმა მონაწილეობა არ მიიღო).

ანდროვმა წაიკითხა საფინანსო კომისიის მოხსენება რუსეთის სამეურნეო იარაღების დამზადების გასაძლიერებელ კანონ-პროექტის თაობაზე სამეურნეო იარაღის კეთების გასაადვილებლად საჭიროა: მანქანების და დაზგების უბაჟოდ შემოტანის ნების დართვა, ბაჟის გაუქმება, იმ იარაღებზე, რომელიც სამეურნეო იარაღის ქარხნის მოწყობისთვის არის საჭირო, ქარხნების ზოგიერთ გადასახადისაგან განთავისუფლება, გამოფენათა გამართვა, გამომგონებელთათვის პრემიის დანიშვნა და სხვა.

რადგან სამკალ მანქანის საკითხი ბუნდოვნად არის შემუშავებული, კომისიამ ფორმულა მიიღო, რომლითაც მთავრობას ევალება მახლობელ დროებში წარმოადგინოს პროექტი სამეურნეო მანქანათა გაკეთებისთვის ჯილდოს დანიშვნისა. მომხსენებელმა სურვილი გამოსთქვა, საჭიროა სახელმწიფო ბანკი სამეურნეო იარაღის შესაძენად უფრო შეღავათიან სესხს აძლევდეს ხალხსაო.

შინგარიოვი. პროექტის ბუნდოვანება ბევრს შეუფერებელ ხარჯს გამოიწვევს. რუსეთის სამეურნეო მანქანათა დამამზადებელ ქარხნების დახმარება, საქმეს უფრო ავნებს. თქვენის პროექტით რუსეთის მექარხნეებს კი ვერ დაეხმარებით, ამერიკის ტრესტს გააძლიერებთ. ძლიერ ქარხანათა დაცვა, პატარებს მოსპობს და მანქანებს დააძვირებს. ამიტომ კადეტები კომისიის აზრს ემხრობიან და მანქანების შემოსატან ბაჟის გაუქმებას მოითხოვენ.

ვაჭრობის მინისტრი. პროექტი ერთ მნიშვნელოვან საეკონომიო საკითხსა სწყვეტს: უეჭველად საჭიროა მანქანათა რუსეთში დამზადების აღორძინება, რადგანაც რუსეთი 80 მილიონ მანეთის მანქანებს ყიდულობს და ამათში ნახევარი მაინც უცხოეთიდან შემოაქვს. იტყვიან, რა უშავს, უცხოელთაგან ვიყიდოთ იაფად მანქანებიო, მაგრამ განა ყოველთვის ერთნაირი ურთიერთობა იქნება სახელმწიფოთა შორის? ერთა შორის ხშირად მოხდება ხოლმე უთანხმოება. უცხოელნი ეხლა იმიტომ ჰყიდიან მანქანებს იაფად, რომ სამეურნეო წარმოების მოთხოვნილება დიდია. წარმოება რომ გაჰქრეს, ვინ იცის, მაშინ რა პირობებს წარმოგვიდგენდნენ რუსებსა. უეჭველად საჭიროა რთულ მანქანათა დამზადების აყვავება და მათთვის ბაზრისმოპოვება ამისათვის საჭიროა ბაჟის დაწესება, მაგრამ ეხლა მთავრობას ბაჟის გადიდება მოუხერხებლად მიაჩნია (მემარცხენენი და მემარჯვენენი უწონებენ), შემდეგ მინისტრმა დაწვრილებით გააცნო პროექტის სქემა და დასძინა: დიდებულ სამეურნეო ქვეყანას საკუთარი სამეურნეო იარაღისა და მანქანათა დამამზადებელი ქარხნები უნდა ჰქონდეს (ცენტრებისა და მემარჯვენეთა ტაში).

ძიუბინსკი. პროექტი მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას უწევს მფარველობას და გლეხობას ვერაფერს არგებს, რადგანაც რა საჭიროა მისთვის ლოკომობილი და სხვა რთული მანქანები. ეს პროექტი კისრად დააწვება არა მიწის პატრონებს, საფინანსო კომისიაში მსხდომარეთა, არამედ მრავალ მილიონიან რუსის გლეხობასა (მემარცხენენი ტაშს უკრავენ),

მოტოვილოვი მომხრეა მანქანათა დამზადებისთვის ჯილდოს დანიშვნისა. მოლაპარაკემ შინგარიოვს უპასუხა და დასძინა, პროტესტი საჭიროა, რადგანაც შეერთებულმა შტატებმა შეურაცხყოფა მოგვაყენეს, ხელშეკრულების განახლება რომ აღარ მოინდომესო.

შიდლოვსკი მე-2 მომხრეა პროექტისა, მაგრამ ზოგიერთი შესწორება შეაქვს.

მერზლიაკოვი. კანონ-პროექტი მარტოოდენ მსხვილ მწარმოებელთა ინტერესებს იცავს, რადგან კომისიამ უარჰყო პატარა მანქანებზე შემოტანის გაძლიერებისა და შინამრეწველობის დახმარების წინადადება,

მარკოვ მე-2 მომხრეა კანონ-პროექტისა,

ანდრეიჩუკი ამბობს, კანონ-პროექტი შეიცავს ერთი ჯგუფის საჩივარს ხაზინის წინააღმდეგო.

შინგარიოვი. კანონ-პროექტი შეიცავს იდუმლად მანქანათა ბაჟის გადიდების სურვილსა, რომელიც უკვე უარჰყო სათათბირომ.

შიიდემანი. პროექტი რუსეთს 100 მილიონს დააზოგვინებს.

მომხსენებელი მოითხოვს მუხლობრივ განხილვას. 23 ხმით 82 წინააღმდეგ სათათბირომ უარჰყო სწრაფად განხილვის საჭიროება და გადავიდა მუხლობრივ განხილვაზე. 1—3 განყოფილება კომისიის რედაქციით მიიღეს.

მეოთხე განყოფილების განხილვის დროს **ანდრეიჩუკმა** მოითხოვა, რომ სალეწი მანქანები უბაჟოდ შემოიტანონ.

ძიუბინსკიმ და ვორონკოვმა კი მოითხოვეს, რომ სათიბი მანქანებიც უცხოეთიდან უბაჟოდ შემოატანონ.

ვაჭრობის სამინისტროს საბჭოს წევრი **ლანგოვოი** წინააღმდეგია უკანასკნელ წინადადებისა.

შიდლოვსკი მე-2 წინადადებით მეოთხე განყოფილებას ხვალ უნდა უყარონ კენჭი, რადგანაც საკითხი რთულია და ძნელად გადასაწყვეტიო.

სალამოს სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობდა.

განაგრძობენ განათლების მინისტრის განმარტების გამო დაწყებულ კამათს.

მილიუკოვმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სამინისტროს მოქმედება და დასძინა: პეტერბურგის უნივერსიტეტს სამრად გამზადებული პოლიციელნი შემორტყმიან და ეს მშვენივრად ამტკიცებს სამინისტროს ძლიერებასაო. მერე მოლაპარაკემ შემდეგი საკითხი წამოაყენა: მართალია თუ არა, რომ ავტონომიამ დააუძლურა პროფესორთა კოლეგია; თუ მართალია, მინისტრის მიერ მიღებულმა ზომებმა როგორ იმოქმედა საქმის ვითარებაზეო, შემდეგ მოლაპარაკემ განიხილა 1908 წლიდან დაწყებული ცხოვრება სასწავლებელთა და აღნიშნა: ამისთანა კონტრასტი, რანაირიც რუსეთში ხდება, სხვაგან არსად არისო. ერთის მხრივ სდგას ახალგაზრდობა, რომლის სულისკვეთებას გაგება მხოლოდ პროფესორთა კოლეგიის შეუძლიან და მეორე მხარეს თვალში გვეჩხირება იმ პიროვნების სრული გაუგებრობა, რომელიც აქედან მოლაპარაკემ გამოიჩინა. იგი ზიზღით ლაპარაკობდა იმის თაობაზე, რასაც ყველა პატივსა სცემს და ხესავით გულგრილად მოექცა ზნეობრივობის სფეროს, იგი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რაც ყოველ რუსისათვის ძვირფასია და იმ ბიუროკრატის გულგრილობით, რომელსაც მეეზოვის და ჰიპოტამის სახელი თუ არ დაუმსახურებია, დაიმსახურა თავის მიერვე გამოგონილი სახელწოდება: რუსეთის სკოლის ბრანდ-მაიორი (ტაში მემარცხენეთა).

პურიშკევიჩმა ლაპარაკი დაიწყო მემარცხენეთა ხმაურობისა და ყვირილის დროს. მემარცხენეებმა თავისი სიტყვებით პეტერბურგის უნივერსიტეტი იმისთანა მდგომარეობაში ჩააგდეს, რომ სწრაფად დამხმარე კარეტებიც კი დაუმზადებიათ ყოველ შემთხვევისთვისაო. მინისტრსა ჰსურს დასავლეთის კულტურა რუსეთის ნიადაგზე გადმოიტანოს. მისი სიტყვა საპოლიტიკო სრულიად არ ყოფილაო. დასავლეთის უნივერსიტეტებს ექსტერიტორიალობა ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ იქაურ სტუდენტობას პოლიტიკა არ აინტერესებთ,

რადგან ხმაურობა არ შეწყდარა და პურიშკევიჩი სცდილობდა გასაგონად ელაპარაკნა, რის გამოც ყვირილი უხდებოდა, იგი ძალიან დაი-

კრიტიკული შენიშვნები

„გრდემლი". წიგნი 1, სალიტერატურო კრებული, გამოცემა ქართულ „სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა.

(დასასრული *)

ცოცხალი ენითა აქვს დაწერილი ია ეკალაძეს თვისი ამბავი: „რას ამბობენ ვერხვები". მოთხრობა დასაწყისიდანვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას და იგიც გულდასმით ეძლევა მისი მსვლელობის გათვალისწინებით აღქურვას. ეს ამბავი მკითხველის არსებაში იწვევს სხვა და სხვა აზრთა შეჯახებას, საერთოდ რთულ აზროვნებითი პროცესს თვისი დედა-აზრით, მაგრამ იგი სათანადოდ ვერ არის განვითარებული და მკითხველის გონებაში შექმნილი აზროვნებითი პროცესი უადგილოდ სწყდება.

არჩილ თოთლაურს დიდი ხანია არ ენახა ქალაქი გორიანი, სადაც თვისი სიყმაწვილე გაეტარებინა და სადაც მრავალი წრფელი, უანგარო მისწრაფებით აღექურვნა თვისი ჯერ კიდევ ნორჩი და უმწიკვლო სული.

ცხოვრებისაგან გასრესილი, სასომიხდილობამდისა და უილაჯობამდის მისული, იგი კვლავ მშობლიურ ბუნების წიაღში მოხვდება, სადაც ყოველი მცენარე, ყოველი უბრალო საგანიც კი იმ ძვირფას დროზე მოუთხრობს, როდესაც იგი უწმინდეს მისწრაფებით იყო მოცული და როდესაც მის ნორჩ სულს ჯერ კიდევ არ შეჰხებოდა მწარე სინამდვილის მწვავე და დაუნდობელი ხელი. იგი თვის მეგობრის კოტეს ეზოში იმყოფება და გულდასმით ათვალიერებს ყოველივეს: აი ის ეკლესია, რომლის გუმბათს ცალი გვერდი ჩამონგრეოდა, „რომელიც ძალზე ჩაბნელებულიყო: გეგონებოდათ, ასი წლობით ნანახნავგრძნობი და საყდრის გარშემო დამარხულ მკვდართა მწარე ფიქრები ამ ნანგრევებში დაბუდებულანო. შორით მოისმოდა მატარებლის გუგუნი. აქა-იქ სალამოს ლოცვის ზარებსაც ჩამოჰკრეს და ამ ხმას კვნესით ბანი მისცა მოხუცებულობით დახავსებულმა და სამშობლოს ტანჯვისაგან გულგადალეულმა გორიანის ციხემ. სიცხისაგან დათენთილი ქალაქი ისევ სთვლემდა ნაშუადღევის მძიმე და გამოურკვეველის თვლემით. არჩილიც გარინდებული გაჰყურებდა ნაცნობ მიდამოებს, თუმცა რაღაც სიამოვნებას კი ჰგრძნობდა".

მწერალს მხატვრული ფერადებითა აქვს გადმოცემული შემოღამება ქალაქ გორიანში. აქ სურათი მიმზიდველად და ხელოვნურადაა გამოხატული.

არჩილი ვერხვების ქვეშ სკამებზე ჩამოჯდება, ეს ვერხვები „დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე ნიავის მომლოდინე გულში იგუბებენ ნეტარ გრძნობას, იზეპირებენ დაუსრულებელ ზღაპრებს, უხმოდ, უსიტყვოდ იმეორებენ საიდუმლო გრძნეულებით აღსავსე ლოცვებს, რომ მერე ყველაფერი დაწვრილებით უამბონ თავისს აშიკს, თავის სანატრელ სიოს, უამბონ გულახდილად, დაუფარავად."

საოცარი თვისება აქვთ ამ ვერხვებს: მათვის არჩილის სული გამჭვირვალე იყო, იგინი ცხადად ხედავდნენ არჩილის სულიერ განწყობილებას: არჩილი მხიარულებს, „გამხიარულდნენ ვერხვებიც, სიცილკასკასით შეუტიეს სიოს, უკუ აგდეს იგი"... არჩილი სწუხს, „ბუზღუნებენ და გუგუნებენ ბებერი ვერხვები, ბზრიალებენ ყლორტები, გაწამაწიობენ ფოთლები".

სწორედ ამ ვერხვების ქვეშ იხილა არჩილმა ნანო, რომელსაც პირველად უძღვნა თვისი წმინდა და წრფელი გრძნობა, მაგრამ რომელიც უკუღმართმა ძალამ მოსტაცა მას.

შეხვედრამ ორივეზე დიდი გავლენა იქონია: ორივეს განუცხოვლდა წარსული დრო და მათ გულში ძალზე შეინძრა, შეიშმუშნა დაყუჩებული, ერთ დროს კი ძალზე მჩქეფარე, გრძნობა. ნანოს ამ შეხვედრამ შემდეგი სიტყვებიც კი წარმოათქმევინა: „არა, ღმერთმა ხომ იცის, მე არა ვარ დამნაშავე... ჩემს დედმამას ეკითხოს ჩვენი ცოდვაო!"

მერე რამდენს დედ-მამას მოეკითხება ამ მხრივ ცოდვა!

— სადა ხარ ახლა, რას აკეთებ? ეკითხება ნანო არჩილს.

— ამ ცხოვრების ყველა სიგლახე მჭირს! ნაღვლიანის ღიმილით უპასუხა არჩილმა... „წავიდა, გაჰქრა გიჟი ოცნება" ჩემო ნანო! დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ცხოვრების ტალღებმა ჩამითრიეს. მეც შეძლებისა და გვარად ვებრძვი ამ ტალღებს, ხან აქეთ ვეხეთქები, ხან იქით. ქვეყანა მე მატყუებს და ლამის მეც მოვატყუო ქვეყანა... რწმენა აღარა მაქვს, ნანო რწმენა... წვრილმანობამ ლამის გზიდან გადამაგდოს".

ასეთმა მდგომარეობამ „მოჰკლეს არჩილი მეოცნებე და იგი მოვალეებისა, თუ ბატონებისაგან ყბად-აღებულად, უბრალო მომაკვდავად, უბრალო მანქანად შეჰქმნეს... ცხოვრებამ ჩაუჭირა მას თვისი ცივი და ბასრი ბრჭყალები".

არჩილის აზრით ვერხვები თურმე იმ „საოცნებო ქვეყნის" შესახებ მოუთხრობენ, სადაც აღიმართება მკვიდრი საკურთხეველი თავისუფლებისა, სიყვარულისა და ადამიანურის ურთიერთობისა... მხოლოდ ამ სამეუფოში შეიქმნება ადამიანი ხატებად ღვთაებისა, ტოლად და სწორად ანგელოზისა..."

დიახ, მიუხედავად ცხოვრების იმ ტლანქ და მძიმე პირობებისა, რომელთაც ღრმად გაუჭირეს კლანჭები არჩილის არსებობას, მას კაცობრიობის მომავალი მაინც ისეთ ქვეყანად ეჩვენება, სადაც ბოლო მოეღება ადამიანად წოდებული არსების მონობის კირთების ქვეშე ცხოვრებას.

ოჰ, ეს აღთქმული ქვეყანა გაცისკროვნებული იმედია მრავალ ტანჯული კაცობრიობისათვის, მაგრამ ძალა-უნებურად გვაგონდება ჩვენი ახალგაზრდა პოეტის სიტყვები:

„მაგრამ **როდემდის?** ადამთა მოდგმას
ნუგეშის სხივი სად გაუელვებს?"

ეს სიტყვები თქვენდა დაუკითხავად ამოსცურდება თქვენი გონებიდან და რწმენით განმტკიცებულ მომავალის იმედს შავი ღრუბლივით გადააწვება თავს.

სამწუხაროა, რომ მწერალმა იმ არჩილს, რომელიც „საოცნებო ქვეყნის" შესახებ აღფრთოვანებული ლაპარაკობდა, შემდეგი სიტყვები წარმოათქმევინა: „სვი, ჭამე, დაიძინე და როცა გაიღვიძო, ატყუე და მოტყუებული იყავ ქვეყანისაგანო". არა, ამ გზით იმ საოცნებო ქვეყანას ვერასოდეს ვერ მივაღწევთ; იგი ჩვენთვის მუდამ მიუწდომელი იქნება, თუ სულით ამაღლებული და სავსებით განახლებულნი არ მივაშურებთ იმ წმინდა კარებს, რომელიც მრავალ-გვემულ კაცობრიობას აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანს, სადაც დაემკვიდრება ბედნიერება, მაგრამ აქაც მწარედ მოგვესმის პოეტის ღრმად-დამაფიქრებელი სიტყვები!

„ადამი წამით მოსულა, კვლავ მიწას მიებარება
სიზმარი არის ჩვენი სიცოცხლე, მიჰქრის და მიეჩქარება".

ძვირფას ადამიანის გვერდით, ნაცნობ, მშობლიურ ბუნების წიაღში არჩილს კვლავ მოიცავს ძლიერი წყურვილი ახალის, განახლებულის ცხოვრების დაწყებისა. ნანომაც „მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მისი ცხოვრებაც უარჩილოდ აქამდე მყრალი გუბე, ბაყაყებით აღსავსე წუმპე ყოფილა". აქ მკითხველი მოელის, რომ არჩილი წინადადებას მისცემს ნანოს, დაუტევოს ოჯახი და მასთან ერთად შეუდგეს ახალს, განახლებულს ცხოვრებას და არც მოსტყუვდება, რადგან არჩილი, მართლაც, მიჰმართავს ასეთი წინადადებით. „არჩილმა მაგრად მოჰხვია წელზე ხელი და აღელვებული თვალებში ჩააშტერდა. მიბნედილი, მშვენიერი დიდრონი ხავერდოვანი თვალები ნანოს **ალმასის წყლით ავსებოდა და უსიტყვოდ არჩილს რაღაცას ემუდარებოდა** *). ხანგრძლივმა, დიდი ხნის მოწყურებულმა მწვავე კოცნამ ორივეს ბაგე შეუკრა, დაიმონა, დაატყვევა"... როდესაც გამოერკვენ, არჩილმა შემდეგის სიტყვებით მიმართა ნანოს:

„ნანო, წავიდეთ ერთად... გადავიკარგოთ სადმე!

— ჰა? რა სთქვი?! აკანკალებულის ხმით შეეკითხა ნანო და გვერდზე ჩამოჯდა.

წავიდეთ მეთქი აქედან, გადავიკარგოთ სადმე და ერთად შევუდგეთ განახლებულ ცხოვრებას. მაშ, მომეცი ხელი ნიშნად ჩვენი შერიგებისა! ემუდარებოდა არჩილი.

მერე?! ქმარი? შვილები? ღმერთო, ღმერთო, რა მემართება? დაიგმინა ნანომ და ვიდრე არჩილი უპასუხებდა რამეს,—ნანო უკვე მესერს გამოსცდა... ბარბაცით შინისკენ გაეშურა".

ეს ადგილი განგებ ამოვწერეთ სავსებით, რომ დაგვენახებინა, თუ როგორი პასუხი გასცა ნანომ არჩილის სულის სიღრმიდან ამომავალ მოწოდებას მასთან ერთად ახალი ცხოვრების დაწყებისადმი. აქ სათანადო სისრულით ვერ გადმოგვცა მწერალმა ნანოს სულიერი განწყობილება. იგი მეტად რბილად იქცევა და სრულებით არ ამხილებს რაიმე ბრძოლის სურვილს. მის წინაშე წამოიჭრა მოვალეობა ქმრისა და შვილებისადმი და იგი უხმოდ გაეშურა შინისაკენ და გამოთხოვებისას ერთი თბილი, სანუგეშო სიტყვაც კი აღარ უთხრა იმ არჩილს, რომელთან შეხვედრით სულ რამოდენიმე წუთის წინად შეიგნო, რომ უარჩილოდ მისი ცხოვრება მხოლოდ აშმორებული გუბე ყოფილა. მერე რა მწარეა ერთი მხრივ ძვირფასი ადამიანისადმი წრფელი გრძნობისა და მეორეს მხრივ ერთხელვე დაწესებულ, დაკანონებულ მოვალეობის შორის ატეხილი მწვავე ბრძოლა, აქ პიროვნება ორად იპობა, ნაწილდება და სიცოცხლის ნიშან-წყალს ჰკარგავს.

თუ მწერალმა ნანოს ამ მოვალეობის გადალახვა არ ადებინა თავს, ის მწვავე ბრძოლა მაინც უნდა გამოესახა, რომელიც ნანოს არსებას მოიცავდა. მაგრამ ამ შემთხვევაში დამნაშავეა მწერლის წინასწარ-აღებული ტენდენცია ნანოს გარემოებათა საბრალო მონად გამოსახვისა. ამით იმის თქმა კი არა მსურს, ვითომც დასაგმობია ყველა ნაწარმოები, რომელშიაც მწერალს წინასწარ-აღებული იდეა ჩაუსახავს და მის სისრულით გამოხატავს ცდილა. არა, მე ამით მინდა აღვნიშნო, რომ მწერლის მიერ წინასწარ აღებული იდეა იმდენად დამარწმუნებელი, იმდენად ცხადი უნდა იყოს მკითხველისათვის, რომ იგი ან მწერლის იდეას უნდა ეთანხმებოდეს და ან თვისი რწმენის გადასინჯვის სურვილი უნდა იღვიძებდეს მასში, იმდენად დასაბუთებული, დასრულებული სახით უნდა იყოს გამოსახული იგი იდეა მწერლისა. ამის მაგივრად მწერალს მხოლოდ არჩილის შემდეგი სიტყვები მოუტანია:

— სად მიხვალ, სად საბრალო მონავ გარემოებათა?! ხავხავით, ყრუდ ამოიკვნესა არჩილმა".

მაგრამ ადამიანი გარემოებათა **მხოლოდ** საბრალო მონა როდია, იგი გარემოცულ პირობათა **მხოლოდ** სათამაშო ბურთი არ არის. და რომ იგი მართლაც ასეთი იყოს, რომ იგი მოკლებული იყოს ყოველივე მნიშვნელობას გარემოცულ პირობათა წიაღში, ოჰ, მაშინ მართლადაც არასოდეს არ გაუღიმებს მას „ნუგეშის სხივი" და მისთვის მუდამ ბნელით მოცული იქნება ეს წუთი-სოფელი.

ამასთანავე სწორედ სამწუხაროა, რომ მწერალმა უადგილოდ შესწვიტა მოთხრობა და მით მკითხველის ძალზე აღძრული აზროვნებითი პროცესი შუა-გზაზე შეაჩერა.

***

ახალგაზრდა დრამატურგი ი. გედევანიშვილი თვის ნაწარმოებში უტყუარ ბელეტრისტულ ნიჭს ამხილებს. დიდი ხანი არაა, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და უკვე ყველას ყურადღება დაიმსახურა. დღემდის მას მხოლოდ როგორც დრამატიულ მწერალს ვიცნობდით, ეხლა კი მისი რამოდენიმე ბელეტრისტული ნაწარმოებნიც ვიხილეთ.

„სახალხო გაზეთის" წარსულ კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იყო ი. გედევანიშვილის მოთხრობა: „გაიქცა". ეს მოთხრობაც და გრდემლში მოთავსებული მოთხრობა: „სინამდვილე" ტუსაღთა ცხოვრებიდანაა აღებული და მრავალ საყურადღებო და რეალურს

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 523.

*) კურსივი ჩვენია.

ლოლა და თავმჯდომარემ 15 წუთით სხდომა დახურა.

სხდომის განახლებისას, პურიშკევიჩს მოჰყავს იზგოევისა და ლევჩენკოს სტატიების ციტატები და ამტკიცებს, მოსკოვის უნივერსიტეტი კასომ კი არა, სტუდენტობამ დაჰლუპაო. იგი სრულიად არა სწავლობს, კონსპექტს გაიზეპირებს ხოლმე და სრულიად გულ-გრილად ექცევა პატიოსნების საკითხსაო. შემდეგ მინისტრად ნამყოფ პროფესორ ბოგოლეპოვის დღიურის ზოგიერთი ადგილი წაიკითხა პურიშკევიჩმა და ამტკიცებდა, პროფესორებიც სტუდენტობას არ ჩამოუვარდებიანო და დასძენს, უარჰყავით შეკითხვაო. (მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

კაპუსტინი თავმჯდომარეობს.

ბჯემოვი. თუ აქამდე რუსეთის განათლების საქმის ტრაგედია გამოურკვეველი იყო, მინისტრის ლაპარაკის შემდეგ, იგი თვალსაჩინო გახდა. მინისტრმა უნდა შეიგნოს, რომ სტუდენტთა მოძრაობა საერთო უკმაყოფილობის ნაყოფია, იგი კი ძველებურად, ბიუროკრატილად უყურებს საკითხსა. თავის გასამართლებლად მინისტრი ლობე-ყორეს მღედო და უცნაური თეორია შეჰქმნა: სთქვა, უმაღლესი მთავრობა, უმდაბლესის ძალასაც შეიცავს ამ დაგვიანების გამო, მოლაპარაკეს სიტყვის დათავება ოთხშაბათამდე გადასდო.

[illegible] ილაპარაკა **მილიუკოვმა,** პურიშკევიჩმა სთქვა, მილიუკოვი პროფესორთა და სტუდენტების შორის ორპირობდა. ჯაშუშობის ბრალდებას კი ვანდობ პურიშკევიჩის სინდისს, თუ კი მოეპოვება.

პურიშკევიჩი. თქვენ რომ ჯაშუში იყავით, მარტო ბოგოლეპოვი კი არა, მთელი რუსეთი ლაპარაკობს.

მემარცხენეებმა დაიწყეს ყვირილი: „დაიკარგე აქედან“, „ძირსო“! ხმაურობის დროს **თავმჯდომარე** ამბობს: სათათბიროს წევრო, პურიშკევიჩო! მაგისთანა ლაპარაკი შეუძლებელია!“ **მემარცხენენი** ყვირიან: „დაიკარგოს აქედან! ასე არ შეიძლება, გამორიცხეთო!“ **თავმჯდომარემ** სხდომა დახურა და ტრიბუნა მიატოვა.

შემდეგი სხდომა ხუთშაბათს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა და გ. დ. ჟურულის განცხადება. ქალაქის გამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა გუშინ გამგეობას ვრცელი და საინტერესო მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც თავის მოსაზრებას გამოსთქვამს ქალაქის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის გამო. ბ-ნ ჟურულის აზრით, ხარჯთ-აღრიცხვა სისწორით არ არის ნავარაუდევი და ამტკიცებს, რომ ქალაქს მიმდინარე წელს 600,000 მას. ზარალი მოუვა, თუ სრულიად გაღებულ იქმნა ის ხარჯი, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვაშია ჩამოთვლილიო. ამ ზარალიდან, მომხსენებლის აზრით, შესაძლებელია გასტუმრებულ იქმნეს მხოლოდ 400,000 მან,, ისიც იმ ფულით (400,000 მან.), რომლის სესხად აღებას ქალაქი აპირობს წელს საქალაქო მიწების დაგირავებითაო. რაც შეეხება დანარჩენ 200,000 მანეთს, ამ თანხის დაფარვა შეუძლებელია, თუ შემოსავლის რაიმე ახალი წყარო არ იქმნა გამონახულიო. დასასრულ ბ-ნი ჟურული გამგეობას ურჩევს, ქალაქის მოსალოდნელი ხარჯები ორ კატეგორიად დაჰყოს. პირველში მოაქციოს აუცილებელი ხარჯები, ხოლო მეორეში—არა აუცილებელი უკანასკნელი ხარჯები გაღებულ იქმნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის ახალი წყარო აღმოჩნდება.

ნამესტნიკის საბჭოს წევრი ნ. ფ. დუნკოვსკი პეტერბურგს გაემგზავრა კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად.

ნამესტნიკის ნებართვით კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სახალხო სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, გადასდოს ყოველ-წლიურად 10,000 მან. **ქალთა უმაღლეს კურსების** ზარალის დასაფარავად.

კავკასიის დეპუტატებს სახელმწიფო სათათბიროს პრეზიდიუმისთვის უთხოვნიათ განსახილველად მიმდინარე სესიაში შეიტანოს კანონპროექტი ამიერ კავკასიის გლეხთა დროებით ვალდებულობის მოსპობის შესახებ.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ევგ. გეგეჭკორს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისთვის ტელეფონით უთხოვნია, განმანთავისუფლეთ „ფილერთა“ გადაჭარბებულ მზრუნველობისაგან, რომელნიც ყველგან ფეხ-და-ფეხ დამსდევენო.

ა. ა. გრომოვი, ოლქის სასამართლოს უფროსი ბრალმდებელი პეტერბურგს გაემგზავრა.

ფრენა, რომელიც 14 და 15 თებერვლისთვის იყო დანიშნული ბაქოდან ჩამოსულ მფრინავთა მონაწილეობით ცუდის ამინდის გამო აღარ გაიმართა.

პურის ნიხრი. ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებული პურის ახალი ნიხრი გუბერნატორმა დაამტკიცა. გირვანქა ფურნის პური უნდა გაიყიდოს: პირველ ხარისხისა $4\frac{1}{2}$ კაპ., მეორისა—4 კაპ., მესამისა—$3\frac{1}{2}$ კაპ. და არჟანოვისა—3 კაპ. გირვანქა თორნის პური უნდა გაიყიდოს: პირველ ხარისხისა—5 კ., მეორისა—$4\frac{1}{2}$ კაპ., და მესამისა—$3\frac{1}{2}$ კაპ. ლავაში: პირველ ხარისხისა—5 კაპ. და მეორე ხარისხისა—$4\frac{1}{2}$ კაპ. მეპურენი მოვალენი არიან, ყველა ხარისხის პური სამყოფად გამოაცხონ.

ყასბების თავგასულობას ბოლო აღარ ეღება. არც ოქმების შედგენა ჰშველის საქმეს და არც სხვა რომელიმე ზომა. ხორცს იმ ფასში ჰყიდიან, როგორც სურთ. ამასთანავე ჰყიდიან ყოვლად უვარგის ხორცს. ამის გამო მეოთხე უბნის ბოქაულმა დაშკოვმა 13 ყასაბს ოქმი შეუდგინა, მერვე უბნის ბოქაულმა ზინევიჩმა—შვიდსა და მესამე უბნის ბოქაულმა დუშინსკიმ ცხრასა.

ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ საჭიროდ დაინახა, სამუშაოს შესამსუბუქებლად ოთხს სექციად დაიყოს. კომისიაში სულ 12 კაცია და თვითეულ სექციაში სამი კაცი შედის. კომისიის თავჯდომარედ ი. ნ. ხუნწუნცია, ხოლო მდივნად—ი. გ. სულაბერიძე.

18 თებერვალს სახალხო სახლში **პოეტი გ. ქუჩიშვილი სალიტერატურო საღამოს** გამართავს ქართველ მწერალთა მონაწილეობით.

თავდამცემთა შეპყრობა. 14 თებერვალს შეიპყრეს: ტფ. მაზრის სოფელ გაუბანის მცხოვრები გიორგი კელუეზაშვილი, სიღნაღის მაზრის სოფელ მაჩხანის მცხოვრები ივანე გიორგის ძე მაძლარაშვილი, შულავერის მცხოვრები ავეტიქ ალექსის ძე მხიტაროვი და ტფილისის მცხოვრები არტაშეს არტემას ძე არუთინოვი, რომლებიც რუსის ქუჩაზე გაძარცვის განზრახვით გორის მაზრის ვაჭარს ბეტრე ელიზბარის ძე ჯათიევს დაეცნენ.

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ სახალხო სახლში რეჟისორ **ა. წუწუნავას ბენეფისი.** დღეს გაიმართება.

სალიტერატურო საღამო. 18 თებერვალს ქართულს თეატრში მხატვარი კ. ქავთარაძე სალიტერატურო საღამოს გამართავს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობს, ნება დართოს გახსნას ქალაქ სიღნაღში საზოგადოების განყოფილება.

ქალაქის სასანიტარო მზრუნველი **ა. ს. ღულაძე** მეექვსე უბნიდან მეათეში გადავიდა.

სამხედრო საინჟენერო დისტანციამ, თანახმად ქალაქის გამგეობის წინადადებისა, სტავროპოლის ქუჩის მოკირწყვლა იკისრა. მოკირწყვლა სულ 3,680 მან. ჯდებაა. ამ ფულის ნახევარი საინჟენერო დისტანციამ ქალაქის გამგეობას გუშინ გაუგზავნა.

პ. ს. კოგანის ლექცია. ცნობილი ლექტორი პ. ს. კოგანი ტფილისში ჩამოვა და დიდმარხვის მეოთხე კვირაში რამდენსამე ლექციას წაიკითხავს. პირველი ლექცია იქნება შემდეგს თემაზე: „ქალთა საკითხი დასავლეთისა და ჩვენს ლიტერატურაში“.

15 თებერვალს ნიკოლოზის ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს მამრობითის სქესისა, დაახლოვებით ოთხის თვისა. ამავ დღეს დუშეთის ქუჩაზე იპოვეს მამრობითის სქესის ბავშვი, დაახლოვებით ორის კვირისა, ბავშვები ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

შეიპყრეს გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრები მიხეილ შიოს ძე გოგიაშვილი (ლაქია), რომელმაც ევგენია აბაზოვს ნივთები მოჰპარა.

15 თებერვალს ტფილისში შეიპყრეს სოფელ მარტყოფის მცხოვრები გიორგი იოსების ძე გელიაშვილი და სოფელ გეტრეულის მცხოვრები ილიკო ივანეს ძე თვაური, რომელთაც გორის მაზრის სოფელ ტყვიავის მცხოვრებ მიხეილ ესტატეს ძე ქარელს (ვაჭარს) პალტო და ლოგინი მოჰპარეს.

15 თებერვალს ტფილისში 72 უპასპორტო შეიპყრეს.

შეიპყრეს ტფ. მცხოვრები ისაკ გრიგოლის ძე ყარაჯევი, რომელსაც ბრალდება ის, რომ ერევნიდან ჩამოსულ ასად ალაიუბეკოვ აბას აღაევს 98 მანეთი მოჰპარა.

საზოგადოებანი და კრებები

სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების საგანგებო კომისიის კრება 15 თებერვალს მოხდა ქალაქის გამგეობის შენობაში ა. ს. ბაბოვის თავჯდომარეობით. კომისიის წევრებმა, რიცხვით 11 კაცმა, საბოლოოდ შეიმუშავეს და ხელი მოაწერეს საზოგადოების წესდების პროექტს, რომელიც ამ დღეებში დასამტკიცებლად გუბერნატორს გაეგზავნება. ამის შემდეგ კომისიამ მსჯელობა იქონია მუშაობის დაწყების თაობაზე, საჭირო იქნა აღიარებული, ერთს და იმავე დროს დაწყებული იყოს დიდი და პატარა განცალკევებული სადგომები. ამ კითხვასთან ერთად თავის თავად აღიძრა საკითხი იმის შესახებ: რომელის თანხით დაიწყონ ეს საქმე, გამოირკვა, რომ ქალაქის თვითმმართველობის შემნახველ-გამგამსესხებელი კასა თანახმაა, მისცეს საზოგადოებას ერთდროულად, სესხად 25,000 მან, ამას გარდა თანხა შედგენილ იქმნება ყოველწლიურ საწევრო ფულისაგან (3 მან.) და საპაიო გადასახადისაგან პაი ათ თუმნად ჰღირს რომელი ფულიც ხუთთის წლის განმავლობაში უნდა იქმნეს გადახდილი. ყოველი წევრი მოვალეა შეიძინოს არა ნაკლებ ერთის პაისა. ერთბაშად რასაკვირველია, შეუძლებელია სამყოფ შენობების აგება, ამიტომ კომისიამ საჭიროდ იცნო, ბინის მფლობელობაში პირველად შევიდნენ, ისიც კენჭის ყრით, ის პირნი, რომელნიც წევრად სხვებზე ადრე ჩაეწერებიან. კომისიამ ამასთანავე დაადგინა, მუშაობის დროს იხელმძღვანელონ გერმანიისა და საფრანგეთის კოოპერატივების სამეცნიერო შრომით.

ქალაქის პენსიების და შემწეობა აღმომჩენის საქმის გამგე კომისიის კრება 18 თებერვალს მოხდება.

ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება 19 თებერვალს მოხდება.

პროვინცია

პერევისა (ქიათურის რაიონი). ილიკო წერეთლის მეუღლემ **თავი მოიკლა** რევოლვერით. მიზეზი გამოურკვეველია. მისი ქმარი და ერთი მეზობელი დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

ამ მოკლე ხანებში მოხდება ჭიათურის მომხმარებელ საზოგადოების („ჩვენი ოჯახი“-ს) **წლიური კრება.**

სოფ. ჭიკაანი (თელავის მაზრა). 12 თებერვალს, რაჭველმა ივანე კილასონიამ რამდენიმე ადგილას ხანჯლით **სასიკვდილოდ** დასჭრა სოფ. ყვარელში მცხოვრები ბადალოშვილი. დამჭრელი შეიპყრეს.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

იაპონიის საქონლის ბოიკოტი.

ტოკიო. კობეში მცხოვრები ჩინელები, რომელთაც პოლიციამ უფლება არ მისცა სადღესასწაულო პროცესიების თავისუფლად შესრულებისა, იაპონიის საქონლის ბოიკოტს მოითხოვენ.

ჯარის გაგზავნის შეფერხება.

ჩიფუ. ქარიშხალის გამო დენშჯოუფუში ჯარი ველარ იგზავნება. გაზეთების ცნობით, იქ ცხარე ბრძოლაა.

რესპუბლიკის მტერნი.

პეკინი. შენსიის გუბერსატორი შენიუნი წინააღმდეგია ახალი წესწყობილებისა ძიუანშიკაის დეპეშით ატყობინებს რესპუბლიკის მომხრე ჯარზე გამარჯვებას, რათა იმპერატორს მოახსენოს ეს ამბავი და მათთვის ჯილდო გამოსთხოვოს.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები.

სტამბოლი. ბეირუტას ვალი იუწყება, როდესაც ქალაქს ზარბაზანი დაუშინეს, ნაღმოსან „ავნულას“ მეზღვაურთაგან ორი აფიცერი და 20 ჯარის კაცი მოჰკლეს, 19 დასჭრეს, ოციც უკვალოდ დაიკარგო. ქალაქში მოჰკლეს 58 მოქალაქე, 41 უცნობი და დასჭრეს 15 უცნობი. იტალიის კრეისერმა მერსინასთან გერმანიის გემი გააჩერა და გაშინჯვის შემდეგ გაანთავისუფლა.

რომი. „სტეფანს“ ხომსიდან ატყობინებენ, იტალიელებმა დაიჭირეს შერგების სერი და ცხარე ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ოსმალთა და არაბთა რაზმები, რომელთაც მრავალი ჯარისკაცი მოუკლეს. იტალიელთ 11 მოუკლეს 82 დაუჭრეს.

იტალია რუსეთის მადლიერია.

რომი. ოფიციალურ წრეებში და პრესაში რუსეთისადმი მადლობას აცხადებენ მის მიერ იტალიასა და ოსმალეთ შორის მშვიდობის ჩამოგდების სასარგებლოდ ნაბიჯის გადადგმის გამო.

უცხოეთი

საფრანგეთის საარჩევნო რეფორმა.

ამას წინად მომხდარმა კენჭის ყრამ ნათლად დაამტკიცა, რომ პროპორციანულ წარმომადგენლობას ბევრი მომხრე ჰყავს: 321 მომხრე აღმოჩნდა, 215 წინააღმდეგი. აღსანიშნავია უმრავლესობის შემადგენლობა. იქ სოციალისტებიც არიან, მემა-

---

სურათებს გადმოქვცემს პატიმართა ცხოვრებიდან.

ხსენებულ მოთხრობებში მწერალი გვიხატავს ორ სხვა და სხვა ჯურის პიროვნებათ: ყველასაგან აბუჩად აგდებულ „ბრუტიან მიხაკას“, რომლის დახასიათება მართლაც რომ სრული და ძალზე მიმზიდველია და „თონიკაანთ იაგორას“, რომლის მისწრაფება მხოლოდ ყველგან სიმართლის ძებნაა. სიმართლის გულისთვისაა სწორედ იგი საპყრობილეში ჩამწყვდეული. ხშირად, ძლიერ ხშირად შეხვდებით მოხუც იაგორასთანა პიროვნებათ, რომელთათვის გარეშე სიმართლისა არა არსებობსრა; სიმართლეა ალფა და ომეგა მათის ცხოვრებისა. დეე სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ, იაგორა მაინც სიმართლეს აღიარებს და ვერავითარი ძალა ვერ დაახშობს მასში სიმართლის ტრფიალს.

„განა ქვეყანაზე სიმართლე არ არის? სიმართლე ყველგან არის, ყოველ ნაბიჯზე... გზა რომ კიდეც აუქციო, ვითომც არ დაგინახავსო, სიმართლე მაინც წინ აგეტუზებაო“, ამბობს იგი და ამაოდ ეცდებით, დაარწმუნოთ, ქვეყნად სიმართლე არ არსებობსო, რადგან სიმართლე მისი ნათელი სულის გამოკრთობა-გამოძახილია.

„იაგორა ხალის ყრილობაში, ხატობაში, ქუჩაში, დუქანში, ერთი სიტყვით, სადაც კი დროს და შემთხვევას იპოვის, ყველგან კრიჭაში უნდა უდგეს სოფლის მტაცებლებს და წამგლეჯს“.

საპყრობილეშიაც კი არ ისვენებდა იგი: ყველგან და ყოველთვის ხმას იმაღლებს დათრგუნილ სიმართლის აღსადგენად. რასაკვირველია, თუ ასეთი პირი ძლიერს სიძულვილს დაიმსახურებდა ყველა იმათ გულში, ვისთვისაც სიმართლე უცნობი ხილია, ვისთვისაც მართალი სიტყვა სახრჩობელაა. არ უყვარდა იაგორა საპატიმროს უფროსებს; არ უყვარდათ იგი მრავალ პატიმართაც. ერთი ტუსაღი შემდეგსაც კი ეუბნება:

—„იქნება სიმართლის საპოვნელად ციხეში მოხვედი?.. გზა აგრევია“.

— სიმართლე ყველგან არისო, შეუტია მოხუცმა. წარმოიდგინეთ იაგორას ბაგე მაშინაც კი სიმართლეზე ლაღადებს, როდესაც მას ჩაკეტილში მოთავსებას უპირებენ:

—„მაინც სიმართლეს ვიტყვი... დამამწყვდიეთ, მომკალით, სიმართლეს მაინც ვერ გაექცევით“... ყვიროდა გზა და გზა მოხუცი.

ასეთი პიროვნებაა მოხუცი იაგორა, რომლის ყველგან სიმართლის აღიარებისადმი მისწრაფებას ვერავინ ჩაჰკლავს, სანამ მის მკერდს ქვეშ კეთილშობილური გული ცემას არ შესწყვეტს.

აი, სწორედ ამ მოხუცის პირით გადმოგვცემს მწერალი მეტად დამაფიქრებელ, საგულისხმიერო ბევრის მთქმელს ზღაპარს სიმართლის შესახებ. მე არ შეუდგები ამ ზღაპრის შინაარსის სავსებით გადმოცემას, ვინაიდან უეჭველია იგი მკითხველს უკვე წაკითხული ექნება და მისი მოკლედ გადმოცემით დავკმაყოფილდები.

ერთ დიდად მდიდარ და სახელოვან მეფეს, რომელიც ყველაფერში ბედნიერი იყო, შვილი არ ებადა და ძალზე დარდობდა. რა წამალი, რა საშუალება არ იხმარეს, მაგრამ არა ეშველა რა, შვილი არ ეყოლა. ერთხელ მეფესთან ერთი ღრმად მოხუცებული ვიღაც კაცი მივიდა და უთხრა: „შვილი გეყოლება; მხოლოდ ერთი პირობა უნდა შეასრულო, შენი ბაღის ერთ კუთხეში დიდი კაკლის ხე სდგას, იმ კუთხეში არც ერთმა ადამიანმა ფეხი არ უნდა დაადგასო. თუ ფეხი ვინმემ შესდგა შენს სახელმწიფოს დიდი უბედურება ეწევაო.“ მეფე დაჰპირდა ასრულებს.

სამი წლის შემდეგ მეფეს „ანგელოზივით შვილი“ ეყოლა. როდესაც ბავშვი წამოიზარდა, მას სურვილი აღეძრა იმ კაკლის ქვეშ მისვლისა; მამამ განუმარტა, რომ იქ მისვლა შეუძლებელი იყო, რადგან მთელ სახელმწიფოს დიდი უბედურება დაატყდებოდა; მაგრამ მეფის შვილის გულში იმ ადგილთან მისვლის სურვილი თან და თან ძლიერდებოდა. ბოლოს ველარ მოითმინა მივიდა კუთხეში, იქ გამოქვაბული იხილა და შიგ ღრმად მოხუცი დაინახა. მოხუცმა მწარედ ამხილა მეფის შვილი პირობის დარღვევაში უთხრა, სანამ სიმართლეს არ იპოვით, უბედურობა არ მოშორდება შენს სამეფოსო და შემდეგ თვალს მიეფარა.

ამ სახელმწიფოს ამის შემდეგ მრავალი უბედურება დაატყვრა თავს. ცხრა მთას იქით ერთი გულთმისანი მოხუცი იყო, მას მიჰმართეს და ჰკითხეს, სად უნდა ეპოვნათ სიმართლე მან უპასუხა: „ეძებეთ და იპოვითო“. ბოლოს თვისი შვილიც კი გამოაგზავნა მოხუცმა მეფესთან. „სიმართლე ყოველ ადამიანის გულშიაო, ჩაიხედეთ და იპოვითო,“ უთხრა მან მეფეს და წარჩინებულთ. ამ სიტყვებმა ყველა ააშფოთა, ყმაწვილი მოჰკლეს, გული ამოიღეს და ნაკუწ-ნაკუწად დასჭრეს, სიმართლეც ნაწილ-ნაწილად იყოფოდა და ხორცს ჰთან ყვებოდა. ამ ამბით შეწუხებულმა ყმაწვილის მამამ შემდეგი წარმოსთქვა: „ამიერიდან ალთქმა დამიდვია, რომ ყველა ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე სიმართლე ეძებოს და ვიდრე სიმართლის დაბნეულ მარცვლებს სულ არ იპოვიან და ისევ ერთ გულად არ შეაერთებენ, უბედურობა და ბოროტება ნუ მოშორდებაო“. ზღაპარი ეს მრავალ მხრივაა საყურადღებო: რადგან მრავალ დამაფიქრებელ მასალას იძლევა; ავიღოთ თუ გინდ მოხუცის მიერ მეფის შვილისადმი ნათქვამი: „აქ სიმართლე ბუდობდა და რადგანაც აქამდის **თქვენგანი არავინ არ შეეხო მის ბინასა,** *) ის დარაჯად იდგა თქვენი ბედისა და კეთილდღეობისა და იდგებოდა კიდევაცა, ვიდრე პირობას არ დაარღვევდიო“. გესმის მკითხველო, „ვიდრე თქვენგანი არავინ არ შეეხო მის ბინასო!“ განა ეს სიტყვები მრავალს რამეს არ გვეუბნევიან!

ან კიდევ მეფის-შვილის ძლიერი წყურვილი იმკუთხეში მისვლისა, სადაც სიმართლე ბუდობდა, განა სავსებით არ გადმოგვცემს ადამიანის არსებაში დაბუდებულ ცნობის მოყვარეობას, რომელიც ძალზე მიგვიწევს ყოველივე უცნობისა და გამოურკვევლისადმი! მეფის შვილის სახეზე დიდი ხანია ღიმილი აღარა სჩანდა, სულ იმ კუთხის ფიქრში იყო და ვერ ისვენებდა: **„ნეტავ რა უნდა იყოსო?“**

დასასრულ, ზღაპარში სიმართლის მარცვლად დანაწილება და მისი მთელ ქვეყანად გაბნევა, ძალზე საგულისხმო და დამაფიქრებელია, ვინ იცის რამდენი ხანია, რაც კაცობრიობა სიმართლეს ეძიებს, მაგრამ დღემდის იგი ვერსად უპოვია, ან იპოვის კი ოდესმე, შეაგროვებენ კი როდისმე სიმართლის დაბნეულ მარცვლებს?...

ასეთი ზღაპარი უამბო მოხუცმა იაგორამ ტუსაღებს. ამიტომაა სწორედ, რომ მოხუცსაც ყველგან სიმართლის ძიება შეუქმნია თვისი ცხოვრების დანიშნულებად და იგიც პირნათლად ასრულებს ნაკისრს მოვალეობას. ბაგე მისი ყველგან და ყოველთვის სიმართლეს მეტყველებს. და აკი მისთვის მაოხვიეს ის საზიზღარი ცილისწამება, თითქოს იგი ერთ ტუსაღს გვერდით მიწოლოდეს, კოცნა დაეწყოს მისთვის და სხვა ასეთი საზიზღრობა. ტუსაღის სიტყვებს სხვა ტუსაღებიც ადასტურებენ და სრულიად უდანაშაულო იაგორა ბნელს ოთახში ჩაამწყვდიეს.

— ოხ, თქვე უსვინდისოებო, ურჯულოებოო! ერთი კი შებღავლა მოხუცმა დ მეტი ველარა სთქვა რა...

დიაღ, სიმართლე და მხოლოდ სიმართლეა იაგორას ცხოვრების აზრი და მნიშვნელობა, მაგრამ მიახწევს კი იგი ოდესმე ამ ქვეყანად სიმართლემდის, თუ ისე ჩაესვენება ცივს საფლავს, რომ სიმართლის ერთ მარცვალსაც ვერ იპოვის? ამის პასუხი მკითხველისათვის მიგვინდვია.

საერთოდ ჩვენი აზრი კრებულის შესახებ შემდეგია: კრებულში მოთავსებულ არც ერთს მოთხრობას დასრულებული სახე არა აქვს, მათში მრავალი საამდროვო, ღრმად საყურადღებო საკითხებია წამოყენებული, მაგრამ **სათანადოდ არც ერთი არ არის გაშუქებული.** მათის კითხვის დროს მკითხველის არსებაში თანდათან ილვიძებს ინტერესი აღძრულ საკითხისადმი და გულდასმით, სრულის ყურადღებით განაგრძობს იგი კითხვას, მაგრამ მოთხრობა უალაგოდ სწყდება, აღძრული საკითხი დაუმთავრებელი რჩება და მკითხველის გაღვიძებული ცნობის-მოყვარეობიდან ამოსცურდება კითხვა: მერე? მერე რა მოხდა?“ ამის შესახებ იგი პასუხს ამაოდ ეძიებს, ვინაიდან მწერალმა აღძრული საკითხის მხოლოდ მკრთალი სილუეტი წარმოგვიდგინა. კრებულში მოთავსებული მოთხრობები მხატვრის **დაუმუშავებელს, დაუმთავრებელს სურათს მოგვაგონებენ, უფრო კი მის ჩანასახს, კონტურს** როგორც კონტურის სრულ საყოფად, დამთავრებული სახის მისაცემად საერთოდ გარკვეულ სურათის შესაქმნელად **მხატვარს კიდევ ბევრი შრომა და ჯაფა სჭირდება,** რომ სურათის ყოველი ნაკვთი განსაკუთრებით აღბეჭდოს, ისე ჩვენს მწერლების მოთხრობებს კიდევ ბევრი რამ აკლიათ, რომ მკითხველის წარმოდგენაში **გარკვეული და სათანადოდ დამთავრებული სახე მიიღონ.** საუბედუროდ ეს ნაკლი ჩვენი მწერლების საერთო დამახასიათებელია.

როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა ჩემ-მიერ განხილული მოთხრობები ძალზე იზიდავენ მკითხველის ყურადღებას ფრიად საყურადღებო მოვლენის გამოსახვით, მაგრამ იქ, სადაც მკითხველის ყურადღების ინტესივობა უმაღლეს წერტილს ახწევს, იქ, სადაც მკითხველი გულის ფანცქალით თითქმის მზად არის თვითეული სიტყვაც კი ათასჯერ გადაიკითხოს, რათა არა გამოეპაროს რა, აქ მწერალნი **წერტილს უსვამენ და მკიუხველის გონებაში აღძრულ აზროვნებითი პროცესს უდროოდ ელება ბოლო.**

უეჭველია, მკითხველო, განგიცდია ის არა სასიამოვნო სულიერი განწყობილება, რომელიც ჩვენს არსებას იცავს იმ შემთხვევაში, თუ გაქანებულ მატარებელში ვზივართ და მას სრულიად მოულოდნელად შეაჩერებენ; რაღაც არა სასიამოვნო გრძნობა დაირბენს უეცრივ ჩვენს სხეულს და მის ყოველ ნაწილში ამხილებს თვის თავს.

თუ ასეთი არა, მისი მსგავსი სულიერი განწყობილება მაინც იცავს ჩვენს არსებას, როდესაც მოთხრობის მსვლელობით ჩვენს გონებაში შექმნილი აზროვნებითი პროცესი გარკვეული განცდის თანახლებით თან და თან ვითარდება და სადაც თვისი განვითარების უმაღლეს წერტილს ახწევს, მოულოდნელად სწყდება, რადგან შესწყდა ის, რაც მას ამოძრავებდა, ძალას მატებდა, ასულდგმულებდა.

საზოგადოდ, ჩვენ მწერლებს არა აქვთ ის მხატვრული გულთა მხილაობა, ის ყოვლის ჩამოწდომი, დეტალურად შემცნობი შთაჭვრეტა მოვლენისა, თუ საგნის არსებაში, რომელიც ძლიერად წარგიტაცებთ, ნაწარმოებში აღწერილ ცხოვრებით გაცხოვრებთ, მაში გამოთქმულ სიარულით აღგაფრენთ, იქ გამოხატულ მწუხარებით გაკვნესებთ.

როდის ვეღირსებით, რომ ჩვენი მწერალნი ესკიზებსა და ეტიუდებს გასცილდებიან და მთელ რამეს, დასრულებულს, ყოველი მხრივ დამთავრებულს შეგვიქმნიან!

⁂

კრებულის მეორე ნაწილში საყურადღებო წერილებია მოთავსებული: ბ. გორგაძის: „ქართულ წყობილ სიტყვაობა“, იპ. ვართაგავასი: „პოეტი მოქალაქე“ (გრ. აბაშიძე); გ. ქიქოძის: „ოგიუსტ როდენი“ და ივ. ზურაბიშვილის: „გზა და გზა“. კრებულის მეორე ნაწილი მართლაც რომ საყურადღებოა.

როგორც გადმოგვცეს, ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება მოკლე ხანში აპირებს მეორე სალიტერატურო კრებულის გამოცემას, რომელშიაც ჩვენი ყველა ნიჭიერი მწერლების ნაწარმოები იქნებიან მოთავსებულნი. ამ მხრივ სრულს წარმატებასა და წინსვლას ვუსურვებთ ქართულ სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებას, მაგრამ ამასთანავე შევნიშნავთ, რომ აუცილებლად საჭირო არის კრებულში ადგილი ექმნესთ ჩვენი ახალგაზდა მწერლების ნაწარმოებთაც, რადგან საზოგადოებას არა ნაკლებ აინტერესებს მათი ნაწარმოების დაახლოვებით გაცნობა.

ალ. წერეთელი.

**) კურსივი ჩვენია.

რჯვენნიც და ზომიერ-პროგრესისტებიც. უმცირესობას კი შეადგენენ რესპუბლიკელები, რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები. საქმესაც სწორედ ეს ართულებს. პუანკარეს სამინისტროს, რომელიც მომხრეა საარჩევნო რეფორმისა, ჰსურს პროპორციანალური წარმომადგენლობის შემოღება რესპუბლიკელთა თანხმობით. ამიტომ, თუ რეფორმა უარჰყო თუნდ უმცირესობამ, სამინისტრო გადადგება და ისეთ კაბინეთს დაუთმობს ადგილს, რომელიც მომხრე იქნება პროპორციანულ წარმომადგენლობისა და მოწინააღმდეგე რესპუბლიკელებისა. ასეთი ბოლო ბევრს აშინებს და ამის გამო ისევ პროპორციანალურ წარმომადგენლობის მომხრეობასა რჩეულობენ.

— პროპორციალიზმი საფრანგეთის უბედურებაა,—ამბობენ რეფორმის მოწინააღმდეგენი. მარტო ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოგდებამაც კი რესპუბლიკელნი დააქუცმაცა და შემდეგ ხომ უარესს უნდა მოველოდეთ.

—დიახ, აი რას უნდა მოველოდეთ, უპასუხებს ნამინისტრალი შარლ დუმონი, ერთ დროს მომხრე პროპორციანალიზმისა. მაგალითად, იურის დეპარტამენტში ეხლა ოთხი მანდატი აქვს რესპუბლიკელებსა, პროპორციანალურ წარმომადგენლობის დროს კი მარტო სამი შერჩებათ. მაგრამ თუ სოციალისტების 5000 ხმას რესპუბლიკელთა ათასიც მიემატა, მაშინ უკანასკნელნი ერთ ადგილსაც დაჰკარგვენ. ალპის დეპარტამენტის არჩევნებში რესპუბლიკელებმა 11529 ხმა მიიღეს, მემარჯვენეება და ცენტრელებმა 11380, სოციალისტებმა 1500, ეხლა ორი ადგილი მემარცხენეებისაა, ერთი მემარჯვენეებისა. მაგრამ თუ მემარცხენეებს სოციალისტებმა 300 კაცი ჩამოაცალეს, მემარჯვენეებს ერთი ადგილიც ჰხვდებათ. ასევე მოხდება არდეშში, ავეირონსა და სხვა დეპარტამენტებში.

— თუ ასეა საქმე და იმედი არაფრისა გაქვთო, უპასუხა რეფორმის პროექტის მომხსენებელმა გარუსიემ, მაშინ ჩქარა სულ დაჰკარგავთ ადგილებსა, თუნდ პროპორციონალური სისტემა არც კი შემოვიღოთო.

რისა ეშინიანთ, რამ შეაშფოთათ ასე ძალიან რესპუბლიკის მომხრე პარტიელნი? ამის პასუხს ადვილად მიჰხვდება ადამიანი, თუ გაეცნობა შინაგან საქმეთა მინისტრის სტეგის გუშინდელს სიტყვას დაუკვირდება.

სტეგმა პრეფექტების აზრი მოიყვანა. ყველანი ერთხმად ჰმოწმობენ, რესპუბლიკელებს ხალხი მომავალ არჩევნებზე ზურგს შეაქცევსო. ხალხში ძალიან გავრცელდა პროპორციანალურ წარმომადგენლობის აზრი და ვინც ამას არ მოითხოვს, ხალხის თანაგრძნობასაც დაჰკარგავსო.

თუ ასეა, რესპუბლიკელები რატომ არ მოითხოვენ პროპორციანალურ წარმომადგენლობას, რაღას უცდიანო, იკითხავენ ზოგიერთნი.

ამას ორი გარემოება უშლის ხელსა. ჯერ ერთი აქამდე პროპორციანალისტებს რესპუბლიკელები ძალიან ცხარედ ებრძოდნენ და შეუძლებელია უკან დახევა. პირველადვე ჩაიდინეს შეცდომა და არც მოელოდნენ საარჩევნო რეფორმის ასე გამწვავებას.

მაგრამ მეორე მიზეზი უფრო საგულისხმოა რესპუბლიკელებს სრულიად არ შეეშინდებოდათ პროპორციანალურ წარმომადგენლობისა, ერთ მთლიან პარტიას რომ წარმოადგენდნენ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ რესპუბლიკელებს კანდიდატთა ორი სია ექნებათ, კონსერვატორებს კი—ერთი. ამიტომ,— ნამინისტრალ ტომსონის აზრით,—ყოველი სისტემა, რასაც კი პროპორციანალიზმისს სუნი აქვს, პარლამენტს კონსერვატორებით ავსებსო.

არა გვგონია, რომ მომავალმა არჩევნებმა რესპუბლიკელთა პარტია დააქუცმაცოს. რაც უნდა იყოს იქ ისეთი ხალხია, რომელთაც ბევრი რამა აქვთ საერთო და სოციალისტებს კი დიდი ხანია დაჰშორდნენ. შეიძლება რეფორმამ პარტიას უფრო სარგებლობა მოუტანოს, რადგან შეაერთებს ყველა ჯგუფსა და ერთ მთლიან ორგანიზმად გადააქცევს.

ამნაირად, მემარჯვენეებს შეადგენენ როალისტ-კათოლიკენი და კონსერვატორები, ცენტრს — რესპუბლიკელნი, ზომიერი პროგრესისტები, მემარცხენეებს—სოციალისტები. საქმის ვითარება სწორედ ამას გვაფიქრებინებს.

დეპეშები

საზღვარ-გარედ.

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

16 თებერვალი

მუშათა მოლაპარაკება.

ლონდონი. ოფიციალურად გამოაცხადეს ასკვიტისა და მთა-მადანთა მუშების მოლაპარაკების ამბავი. ასკვიტის წინადადებით მუშებმა დაარსეს სათათბირო კომიტეტი მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. მინისტრები ჯერ ამ კომიტეტს მოელაპარაკნენ, შემდეგ მაღაროების პატრონებსა, მოლაპარაკება იდუმლად სწარმოებს და ალბად 15 თებერვლამდე გასტანს, რადგან უელსის მაღაროთა პატრონები გაჯიუტდნენ.

გაფიცვის დაბოლოვება,

ბუენოს აირესი. რკინის გზის მუშათა გაფიცვა დასრულდა.

არეულობა.

კინგსტონი. ტრამვაის მოსამსახურეებმა, ჯამაგირის სიცოტავისა გამო, არეულობა მოახდინეს. მსუბუქად არიან დაჭრილნი გუბერნატორი და ადიუტანტი. პოლიციას სროლა დაუწყეს. ერთი მოჰკლეს, ერთი მძიმედ დასჭრეს, 30 მსუბუქად. წესიერება აღადგინეს.

რეიხსტაგი.

ბერლინი. იხილავენ შინაგან საქმეთა უწყების ხარჯთ-აღრიცხვას, დეპუტატები სიტყვის დროს გერმანიის ეკონომიურ და სოციალურ პოლიტიკას ეხებიან. ს.-დემოკრატები აღნიშნავენ: კაპიტალიზმი ხალხის გაპროლეტარებას იწვევსო. სოციალისტ-დეპუტატის განცხადება, რომ გერმანიაში სოციალური კანონ-მდებლობა სოციალისტების მეოხებით იქმნა გატარებულიო, საერთო სიცილს იწვევს. გრაფს პოსადოვსკის გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა სახარბიელოდ მიაჩნია.

პრეზიდენტის ხელ-ახალი არჩევნები.

ბერლინი. პრეზიდენტის ხელ-ახალი არჩევნები 24 თებერვალს მოხდება.

მემანქანეთა გაფიცვა.

ლონდონი. გაზეთების ცნობით, სამხრეთ უელსის მაღაროთა მემანქანენი 16 თებერვალს გაფიცვის გამოცხადებას აპირებენ. სამთამადნოს მუშები ჯგუ-ჯგუფად იღებენ ხელს სამუშაოზე. ამბობენ, უკვე 100,000 მუშა გაიფიცაო.

ძვირფას ნივთთა გატაცება.

ვენა. ჩქარის მატარებლით მიმავალ ჯავაირჩს 250,000 ფრანკად ღირებული ნივთები მოსტაცეს.

რუსეთი

ბეჭვდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოფენა.

პეტერბურგი. დაიწყო ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მეოთხე მორიგი გამოფენა.

მოულოდნელი ქარ-ბუქი.

ომსკი. კოკჩეტავისა და პეტროპავლოვსკის შუა მიმავალ 12 პატიმარსა და ჯარის კაცთ მოულოდნელად ქარ-ბუქმა მოასწრო. ორი ჯარის კაცი დაიხრჩო; ერთი პატიმარი უკვალოდ დაიკარგა.

გაზეთის აღკრძალვა.

მოსკოვი. ყადაღა დაადეს „გოლოს მოსკვი“-ს მე-37 ნომერს,

ყალბი ფულების ქარხანა.

კიევი. უმანში აღმოაჩინეს ყალბი ფულების ქარხანა.

უწესოება სახალხო სახლში.

ალექსანდროვსკი. სახალხო სახლში გამართული იყო საუბარი შტუნდისტებისა მართლმადიდებელ მისიონერებთან. ერთმა უცნობმა რევოლვერი ისროლა და დაიყვირა: „არიქა თავს უშველეთ, ცეცხლიო. მრავალი ათასი ადამიანისაგან შემდგარი დამსწრე საზოგადოება კარებისაკენ გაექანა. ბევრი დაშავდა.

შემოწირულობა

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ შემოსწირეს:

1. ქ-მა პელაგია გიორგის ასულმა **სსლაგუბოვისამ** (გორში): ა) მისი დისწულის, 19 წლის გლეხის ნიკო ქრისტეფორეს ძის **მამულაშვილის** მიერ გაკეთებული, ციხის მოდელი (ფრიად საინტერესო) და ბ) ერთი ნასყიდობის ქაღალდი.
2. ქ-მა სალომე ქრისტეფორეს ასულმა **სოლომონოვისამ** ერთი რუსული ძველი მანათიანი და მოქსოვილი ქისა,
3. მარიამ დავითის ასულმა **რევაზიშვილისამ**—აბრეშუმის ძაფით ნაკერი პატარა ქირმანის შალი.
4. ნინო ივანეს ასულმა **მდინარიძისამ** მძივით ნაკერი საათის ბუდე.
5. ოლღა დიმიტრის ასულმა **ხახუტაშვილისამ** ოქრომკედით ნაკერი თავსაკრავი.
6. მარიამ (მარგარიტა) ვასილის ასულმა **ჩუბინაშვილისამ** ერთი დიდი თათრული ვერცხლის ფული.
7. მარიამ ღვთისავარას ასულმა **მეჩითოვისამ**: ერთი ეკატირინე მე-2-ის ვერცხლის ფული და ერთი ინგლისური შავი ფული.
8. ვარო იორდანეს ასულმა **საბაშვილისამ** ორი სპარსული ვერცხლის ფული,
9. ანნა ელიზბარის ასულმა **გარსევანიშვილისამ** სამი ვერცხლის ფული და ერთი შავი ქართული ფული 1805 წლისა.
10. სალომე ალექსანდრეს ასულმა **გარსევანიშვილისამ** სადაფი.

ყველა, ზემო ჩამოთვლილი ნივთი საზოგადოებას ჩამოუტანა ქალაქ გორიდან ქ-ნმა ანნა გრიგოლის ასულმა **კაპანაძისამ.**

11. თამარ ნიკოლოზის ასულმა **ლომაურისამ** ორი ძველი შავი ფული.
12. ივანე **სუხაშვილმა** ერთი ოსმალური და ერთი ევროპიული შავი ფული.
13. მიხეილ პეტრეს ძემ **სარაჯიშვილმა** ბრინჯაოს ხანჯლისა და შუშის პირები.
14. ალექსი ივანეს ძემ **მირიანიშვილმა** ლაშა გიორგის შავი ფული.
15. ნიკოლოზ იაკობის ძემ **ავალიშვილმა:** ა) ერთი ჩინური წიგნი, ბ) ხუთი სპარსული წიგნი („ლიბელიმაბ“, „ათეშ ქედაი აზარ“, „მაჯაელ ფასაჰა“, „როუზათე საფა“ და ნადირ-შაის გალაშქრება საქართველოზე), გ) სპარსული მუზარადი, ფარი და სამკლავე, დ) სხვა და სხვა წლების ჟურნალ-გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „გუთნის დედა“, „თეატრი“, „ცნობის ფურცელი“ „სასოფლო გაზეთი“, „მოწამე, „მნათობი“, „ბურჯი“, „ძალი“, „ნიავი“, „შრომა“, „მოამბე“, „კვალი“, „ცისკარი“, „მეურნე“, „მეგობარი“, „რუსული გაზეთი“, „სიტყვა და გლეხი“ და „ფასკუნჯი“, და ე) „Собранiе россiйскихъ разговоровъ“ 1819 წლისა.

შემომწირველთ საისტორიო საზოგადოების საბჭო უღრმესს მადლობას სწირავს.

მდივანი **ს. გორგაძე.**

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი კვირას 19 თებერვალს გლეხთა განთავისუფლების 51 წლის თავსა, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება იოსებ გედევანიშვილის ცნობილი პიესა „მსხვერპლი“, რომელიც განძანთავისუფლებელ დროის ხანას გვიხატავს ჩვენებურ გლეხთა ცხოვრებისას. ეს წარმოდგენა კიდევ მით იქნება საინტერესო, რომ მას დაესწრება პირველად თვით ავტორი პიესისა ბ-ნი ი. გედევანიშვილი, რომლის პატივსაცემადაც იმართება ეს წარმოდგენა ჩვენ მსახიობთაგან. წარმოდგენის შემდეგ ახალგაზდა ავტორს უპირებენ ბანკეტის გამართვას.

ბაქოს ქართული წარმოდგენების სექციას როგორც გადმოქვცეს დაუპირებია რეჟისორის მოწვევა წლიურად. ამ თანამდებობაზე სხვათა შორის კანდიტატებად დაუსახელებიათ ბ-ნი ნიკ. გვარაძე და კოწ. ანდრონიკაშვილი. გვარაძეს უკვე პირობა მიუცია ქიათურის თეატრისთვის და იქ იმსახიობებს სექტემბრის დამლევამდე. ასე რომ ეხლა კ. ანდრონიკაშვილთან აქვთ მოლაპარაკება.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ქვემო აღნიშნულ პატივცემულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოუჩინეს დ. აბაშაში არსებულ სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. შემომწირველთა სია: ფედოსია გიორგის ასული გეგენავასი 10 მან., გ. ი. ჯ—ა 10 მან., კონსტანტინე გიორგის ძე იაშვილი 10 მ., თეოფანე მელიტონის ე ძველაია 2 მან., მიხეილ ოქროსპირის ძე კაჭარავა 10 ცალი რუსული და ქართ. წიგნი, ფენიქსი კაზიმირის ძე სკურატი 183 №№-ბი სხვა და სხვა რუს. ჟურნალებისა, სამუელი გრიგოლის ძე ცომაია –27 ც. ქართ. და რუს. წიგ., აკაკი ხოშტარია 4 ცალი ქარ. წიგნი, ევგენი ჟვანია 41 ც. ქარ. და რუს. წიგ., ვასილი გადილია 46 ც. ქარ. და რუს. წიგნ., ოლიფანტე ოჩიგავა 20 ც. ქარ. და რუს. წიგ., ირაკლი ჟვანია 8 ც. ქარ. წიგნები, მარიამ პავლეს ასული მელაძისა--გამოუწერა „სახალხო გაზეთი“ მთელი წლით, ბაგრატი დოლიძე—გამოუწერა „ბათუმის გაზეთი“ მთელი წლით და შემოსწირა წარსული წლის ჟურ. „Г neвъ“-ის ყველა ნომრები, მამანტი პავლეს ძე კანდელაკი—გამოუწერა მთელი წლით ჟურნალი „კოოპერაცია“.

აბაშის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სამზრუნველოს წევრები: **კონსტანტინე იაშვილი, მამანტი პ. კანდელაკი, გიორგი ჯორჯიკია, ბაბილინა იოსელიანი, სპირიდონ კაჭარავა, ფეოდოსია გეგენავასი, ვასილი ქობულია.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს, 8 წ., რიონში დილ. 7 ს, 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ, მატ. № 5, I—III კლ. საღ, 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—II. კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალოჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 1. ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალოჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს, 23 წ., ბორჯომში 9 ს, 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № [illegible], I—II კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1, გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევს 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები შოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—;;—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მელაკანის მოედანზე.

განცხადებანი

ექიმი ვ. მუსხელიშვილი [illegible] ყოველ დღე [illegible] ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11--12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი,
(თ. 1646.22)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ — 11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად,

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. ბჟასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა,
ზ. ი. ზაბახსოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი ი. ა. ფრანკისა 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასმა,

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. 1074.17)

მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-საეკონომიო ჟურნალ

წელიწადი **კოოპერაციაზე** მეორე

პროგრამა: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და საეკონომიო საკითხებზე, 2) წერილები სამუნიციპალო საქმეებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, **სურათებით;** 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) მიმდინარე ცხოვრება; 6) წერილები ჯანმრთელობაზე; ნარევი და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ კითხვებზე. **ჟურნალში** ღებულობენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში და ქუთაისს გარედ, გაგზავნით: წლიურად 3 მ., ნახევარ წლით 1 მ. 75 კ., თვიურად 40 კ, ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება,

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ 1912 წლის განმავლობაში ჟურნალის 24 №№ და რამდენიმე მთლიან **ბროშურას** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ხელის მომწერი, რომელიც მოაწერს ხელს ჟურნალზე თებერვლის 15-მდე და შემოიტანს სრულად წლიურ გადასახადს ათი შაურის დამატებით /დაუმატებლად ღებულობენ ისინი, ვინც მოაწერეს ხელიც 1911 წლის 31 იანვრამდე) მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, **ნ. პ. გიბნერის** საუცხოვო წიგნს. ქართულად: „კოოპერაციის სისტემები“, რომელიც ცალკე ეღირება 1 მან. 20 კაპ.

1911 წლის ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის“, „გამგეობის პირველი ნაბიჯები“, „სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში“, „სახელოსნო კოოპერატივები“, გამოჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფიები, ლევ. ტოლსტოის, პროფ. კაბლუკოვისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, თ. ღლონტის, დ. ღამბაშიძისა (ლონდონიდან), ვ. თოტოშიანცისა და სხვა. 1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კაპ.

ადრესი წერილისა და ფულის გამოსაგზავნად: Кутаисъ, редакцiя журнала „Коперацiя“.
(3—1107—2)

სილამაზე უმაღლეს ხარისხამდე!

№ 4711
ვარდის ფერი ბროლის
—საპონი—

კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, ნაწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.

ფერდ. მიულგენსი.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რიგა.
დაარსებული 1792 წ.

ერთი ნაჭერი 2 კ.
ყველგან იშოვება.
Метцл. 28838. (9.1055.1).

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

☛ „ნაკადულ“-ზე ☚

✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური ივავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскiй просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—29 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12.